პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთწლედი—ვადამდე!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 მაისი ოთხშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 126 (15339)

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთშეთანხმებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **რიჩარდ მ. ნიქსონი** მეუღლითურთ საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყო 1972 წლის 22-30 მაისს.

პრეზიდენტს ახლდნენ სახელმწიფო მდივანი უილიამ პ. **როჯერსი**, პრეზიდენტის თანაშემწე **ჰენრი ა. კისინჯერი** და სხვა ამერიკელი ოფიციალური პირები.

სსრ კავშირში ყოფნის დროს პრეზიდენტი რ. ნიქსონი, მოსკოვის გარდა, ეწვია ქალაქებს ლენინგრადსა და კიევს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **ლ. ი. ბრეჟნევს**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ნ. ვ. პოდგორნის**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ნ. კოსიგინსა** და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს **რ. ნიქსონს** შორის გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისა და მსოფლიოს თანამედროვე ვითარების ძირეულ პრობლემებზე.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო**, საგარეო ვაჭრობის მინისტრი **ნ. ს. პატოლიჩევი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ვ. ვ. კუზნეცოვი**, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში **ა. თ. დობრინინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ა. მ. ალექსანდროვი** და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი **გ. მ. კორნიენკო**.

ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი **უ. როჯერსი**, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში **ჯ. ბიმი**, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში **ჰ. კისინჯერი**, პრეზიდენტის თანაშემწე საგარეოეკონომიურ საკითხებში **პ. ფლენიგანი** და სახელმწიფო მდივნის მოადგილე **მ. ჰილენბრანდი**.

განხილვა მოიცავდა ფართო წრის ურთიერთსაინტერესო საკითხებს და გულახდილი და საფუძვლიანი იყო. მან მხარეებს საშუალება მისცა ზუსტად განესაზღვრათ დარგები, რომლებშიც არის ორი ქვეყნის უფრო ფართო თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები, აგრეთვე დარგები, სადაც მხარეთა პოზიციები არ ემთხვევა ერთმანეთს.

I. ორმხრივი ურთიერთობა

მხარეებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მისწრაფებით სიბეჭდის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა დაამყარონ უფრო მტკიცე და კონსტრუქციულ ბაზაზე და შეგნებული აქვთ, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ხელშეწყობისათვის, მიიღეს დოკუმენტი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლები", რომელსაც საბჭოთა კავშირის სახელით ხელი მოაწერა ლ. ი. ბრეჟნევმა და შეერთებული შტატების სახელით — რ. ნიქსონმა.

ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული დებულებები სახავენ ახალ შესაძლებლობებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მშვიდობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ურთიერთობის განვითარებისათვის. განიხილეს რა ორმხრივი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის სხვადასხვა დარგები, მხარეებმა შეთანხმდნენ, რომ შესაძლებელი და სასურველია ამ ურთიერთობის განვითარება. მათ გამოთქვეს მტკიცე სურვილი იმოქმედონ აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოყალიბებული დებულებების შესაბამისად.

მოლაპარაკებაზე მიღწეული პროგრესის შედეგად, რომელიც წინ უძღოდა შეხვედრას უმაღლეს დონეზე, და თვით შეხვედრის დროს, დაიდო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი. ეს ხელს შეუწყობს ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებას ორივე მხარისათვის საინტერესო დარგებში, ისევე როგორც იმ დარგებში, რომლებიც საინტერესოა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისათვის.

□

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა

მხარეებმა უპირველესი ყურადღება დაუთმეს ატომური ომის წარმოქმნის საშიშროების შემცირების პრობლემას. მათ მიაჩნიათ, რომ დიდი და რეალური წვლილი ამ საქმეში იქნება გამალებული სტრატეგიული შეიარაღების შეკავება. ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ერთმანეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ და დროებით შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიებათა შესახებ.

ეს შეთანხმებანი, რომლებიც მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შედეგად დაიდო, წარმოადგენენ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს გამალებული შეიარაღების შეკავებისა და საბოლოო ანგარიშით შეწყვეტის გზაზე.

ისინი კონკრეტულად გამოხატავენ მხარეთა განზრახვას ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას, აგრეთვე შეასრულონ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებანი (მუხლი VI). მხარეები დარწმუნებული არიან, რომ აღნიშნულ შეთანხმებათა მიღწევა პრაქტიკული ნაბიჯია ატომური ომის წარმოშობის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის გზაზე. ეს შეესაბამება როგორც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ხალხების, ისე მსოფლიოს ყველა სხვა ხალხის ინტერესებს.

მხარეებს განზრახული აქვთ განაგრძონ აქტიური მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე და ეს მოლაპარაკება აწარმოონ კეთილი ნების, ერთმანეთის კანონიერი ინტერესების პატივისცემისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის დაცვის სულისკვეთებით.

მხარეები აგრეთვე დარწმუნებული არიან, რომ 1971 წლის 30 სექტემბერს ვაშინგტონში ხელმოწერილი შეთანხმება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ატომური ომის საფრთხის შემცირების ღონისძიებათა შესახებ შეესაბამება არა მარტო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ხალხების, არამედ მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

საპაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა

მხარეები შეთანხმდნენ ღონისძიებებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ შექმნან კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო და სხვა ეკონომიური კავშირურთიერთობის განვითარებისათვის. მხარეებს მიაჩნიათ, რომ არის ობიექტური პირობები მათ შორის ეკონომიური კავშირურთიერთობის ღონის ამაღლებისათვის. ეს კავშირურთიერთობა უნდა ვითარდებოდეს ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

რამდენადაც მხარეებს მიაჩნიათ, რომ ამ მიზნებს შეესაბამება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო შეთანხმების დადება, მათ გადაწყვიტეს უახლოეს ხანში დაამთავრონ საჭირო სამუშაო ასეთი შეთანხმების დასადებად. ისინი შეთანხმდნენ, რომ სასურველია გაიღონ კრედიტები ურთიერთვაჭრობის განვითარებისათვის და უახლოეს ხანში განახორციელონ ღონისძიებანი სხვა ფინანსური და ეკონომიური საკითხების გადასაწყვეტად. შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკება ლენდ-ლიზის დარგში ანგარიშსწორების მოწესრიგების თაობაზე მოეწყობა სავაჭრო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების პარალელურად.

ორი ქვეყნის სავაჭრო კავშირურთიერთობის გაფართოებისა და გაადვილების მიზნით და კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად მხარეებმა გადაწყვიტეს შექმნან ერთობლივი საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომისია ვაჭრობის საკითხებზე. კომისიის პირველი სხდომა გათვალისწინებულია მოეწყოს მოსკოვში ამ ზაფხულს.

ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ურთიერთობის განვითარებისათვის. განიხილეს რა ორმხრივი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის სხვადასხვა დარგები, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შესაძლებელი და სასურველია ამ ურთიერთობის განვითარება. მათ გამოთქვეს მტკიცე სურვილი იმოქმედონ აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოყალიბებული დებულებების შესაბამისად.

მოლაპარაკებაზე მიღწეული პროგრესის შედეგად, რომელიც წინ უძღოდა შეხვედრას უმაღლეს დონეზე, და თვით შეხვედრის დროს, დაიდო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი. ეს ხელს შეუწყობს ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოებას ორივე მხარისათვის საინტერესო დარგებში, ისევე როგორც იმ დარგებში, რომლებიც საინტერესოა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისათვის.

□

ევროპა

საერთაშორისო ვითარების განხილვის დროს მხარეებმა აღნიშნეს, რომ კეთილნაყოფიერად ვითარდება მოვლენები ევროპაში დაძაბულობის შენელების მიმართულებით.

სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც შეგნებული აქვთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ბედისათვის ევროპაში მდგომარეობის განვითარებას, სადაც დაიწყო ორივე მსოფლიო ომი, და ახსოვთ პასუხისმგებლობა და ვალდებულებანი, რომლებსაც სხვა სახელმწიფოებთან ერთად იზიარებენ ისინი შეესაბამები შეთანხმებებით, აპირებენ განახორციელონ ახალი ღონისძიებანი ევროპის ისეთი მშვიდობიანი ომამდელის უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც თავისუფალი იქნება დაძაბულობისაგან, კრიზისებისა და კონფლიქტებისაგან. მათ მიაჩნიათ, რომ დაცული უნდა იყოს ევროპის ყველა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა.

ორივე მხარეს დაინტერესებული სახელმწიფოების, მათ შორის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაყოფიერი თანამშრომლობის კარგ მაგალითად მიაჩნია 1971 წლის 3 სექტემბრის ოთხმხრივი შეთანხმება საკითხებზე, რომლებიც ბერლინის დასავლეთ სექტორს ეხება. მხარეების აზრით, ამ შეთანხმების განხორციელება სხვა ღონისძიებებთან ერთად კვლავაც გააუმჯობესებს ვითარებას ევროპაში და ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის საჭირო ნდობის დამყარებას.

ორივე მხარე კმაყოფილებით შეხვდა 1970 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულებას სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხელშეკრულების დებულებებს, აგრეთვე სხვა ამას წინათ დადებულ შეთანხმებებს ევროპის სახელმწიფოთა შორის ნდობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის მოგვარებაში.

სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან შესაბამისი წვლილი შეიტანონ პოზიტიურ პროცესებში, რომლებიც ევროპის კონტინენტზე ხდება ნამდვილი დაძაბულობისა და ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის ურთიერთობის განვითარების მიმართულებით ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვეობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სუვერენული თანასწორობის, დამოუკიდებლობის და ძალის გამოყენების თუ ძალის გამოყენებით დამუქრებაზე უარის თქმის პრინციპების საფუძველზე.

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთნაირი აზრები აქვთ იმის შესახებ, რომ მრავალმხრივი კონსულტაციები ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თანმიმდევრული მომზადების თვალსაზრისით შეიძლება დაიწყოს 1971 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების დასკვნითი ოთხმხრივი ოქმის ხელმოწერის შემდეგ.

ორივე მთავრობა თანახმაა, რომ ეს თათბირი კარგად უნდა მომზადდეს, რათა მან კონკრეტულად განიხილოს უშიშროებისა და თანამშრომლობის პრაქტიკული პრობლემები და ამით ხელი შეუწყოს იმ მიზნების თანდათანობით დაძლევას, რომლებსაც ევროპაში დაძაბულობა მოჰყვა. ეს თათბირი უნდა გაიმართოს დაინტერესებულ მხარეთა შეთანხმებულ ვადებში, მაგრამ გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.

მხარეებს მიაჩნიათ, რომ ევროპაში სტაბილურობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნებს შეესაბამება შეიარაღებული ძალებისა და იარაღის ურთიერთშემცირება, უწინარეს ყოვლისა ცენტრალურ ევროპაში. შეთანხმება ამ საკითხზე ზიანს არ უნდა აყენებდეს რომელიმე მხარის უშიშროებას. დაინტერესებულმა ხელმწიფოებმა, შეძლებისდაგვარად რაც შეიძლება მალე უნდა მიაღწიონ შეთანხმებას სპეციალურ ფორუმზე ამ საკითხის გარშემო მოლაპარაკების მოწყობის წესის შესახებ.

ახლო აღმოსავლეთი

ორივე მხარემ ჩამოაყალიბა თავისი პოზიციები ამ საკითხზე. ისინი ადასტურებენ, რომ მხარს უჭერენ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციის შესაბამისად. ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი, რომლებიც აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დაინტერესებული მხარეების კონსტრუქციულ თანამშრომლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ელჩ იარინგთან, ადასტურებენ, რომ სურთ შეიტანონ თავიანთი წვლილი ამ მისიის წარმატებაში და აგრეთვე აცხადებენ, რომ მზად არიან შეახლოებულნენ თავიანთი როლი ახლო აღმოსავლეთის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევაში. ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის აზრით, ასეთი მოწესრიგების მიღწევა, დასახავს პერსპექტივებს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის და შეიძლებელს გახდის, კერძოდ, იმას, რომ განიხილონ ამ რაიონში სამხედრო ვითარების შენელების მიღწევის შემდგომი ღონისძიებანი.

ინდოჩინეთი

ორივეთულმა მხარემ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი თვალსაზრისი ვიეტნამის ომზე, რომელიც გრძელდება, და მთლიანად ინდოჩინეთის რაიონის მდგომარეობაზე.

საბჭოთა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელი, ლაოსელი და კამბოჯელი ხალხების სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის. მტკიცედ უჭერს რა მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის წინადადებებს, რომლებიც რეალურ და კონსტრუქციულ საფუძველს უქმნიან ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგებას, საბჭოთა კავშირი ამის მომხრეა, რომ შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა მოლიანად და უპირობოდ გაიყვანონ სამხრეთ ვიეტნამიდან ჯარები, რომ ინდოჩინელ ხალხებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედი, გარედან ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

ამერიკის მხარემ აღნიშნა, რომ საბერიოა შეძლებისდაგვარად, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ხიომარი კონფლიქტი და დაადასტურა თავის ერთგულება ამ პრინციპებისადმი, რომ სამხრეთ ვიეტნამის პოლიტიკური მომავალი უნდა გადაწყვიტოს თვით სამხრეთვიეტნამელმა ხალხმა, გარედან ჩაურევლად.

ამერიკის მხარემ განმარტა, რომ მისი აზრით, აღნიშნული მიზნების მიღწევის ყველაზე სწრაფი და ეფექტიანი გზაა მოლაპარაკება აღნიშნულ რაიონში ტუვედ ჩავარდნილი ყველა ამერიკელის დასაბრუნებლად, ცეცხლის შეწყვეტა მთელ ინდოჩინეთში საერთაშორისო მეთვალყურეობით და სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკის მთელი ჯარების შემდგომი გამოყვანა ოთხი თვის განმავლობაში და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის მინდობა თვით ინდოჩინელი ხალხებისათვის.

შეერთებულმა შტატებმა დაადასტურეს, რომ მზად არიან დაიწყონ სერიოზული მოლაპარაკება ჩრდილოეთ ვიეტნამის მხარესთან ინდოჩინეთში ომის შეჩერებულ ყველასათვის სამართლიან საფუძველზე.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოსკოვის მოლაპარაკების დროს მიღწეული შეთანხმებანი და მორიგებანი, ისევე როგორც ამ მოლაპარაკების შინაარსი და ხასიათი, ოდნავაც არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ. ორივე მხარე ხელმძღვანელობს იმით, რომ ცნობს სხვა დაინტერესებული სახელმწიფოების როლს, პასუხისმგებლობასა და პროგრესტივებს, არსებულ საერთაშორისო ვალდებულებებსა და შეთანხმებებს, საერთაიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს.

მხარეები დადებითად აფასებენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკების დროს მიღწეულ შედეგებს. ეს შედეგები მოწმობენ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სოციალურ სისტემებში, იდეოლოგიასა და პოლიტიკის პრინციპებში არსებული სხვაობის მიუხედავად, არის შესაძლებლობანი, რათა განვითარდეს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი განაგრძონ მჭიდრო კონტაქტები მთელ რიგ განხილულ საკითხებზე. ისინი დაეთანხმნენ იმას, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა რეგულარული კონსულტაციები, მათ შორის უმაღლესი დონის შეხვედრები, ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **რ. ნიქსონმა** მადლობა გადაიხადა სტუმართმოყვარეობისათვის, რაც გაუწიეს საბჭოთა კავშირში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი** და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი** მიიწვია შეერთებულ შტატებში ორივე მხარისათვის მოსახერხებელ დროს. ამ მიწვევაზე დათანხმდნენ.

მხარეებმა ხელი მოაწერეს

ორივე ქვეყნის ორგანიზაციათა და ფირმათა ეფექტიანი საქმიანი კავშირურთიერთობის დამყარებას და წაახალისებს გრძელვადიანი კონტრაქტების დადებას.

საზღვარ ნაოსნობის საკითხები. ღია ზღვაში ინციდენტების თავიდან აცილება

მხარეები შეთანხმდნენ განაგრძონ დაწყებული მოლაპარაკება, რათა დადონ შეთანხმება საზღვაო ნაოსნობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. მხარეებს მიაჩნიათ, რომ ასეთ შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და შეერთებულ შტატებს შორის ვაჭრობის გაფართოებისათვის ხელშეწყობის საქმეში.

მხარეები შეთანხმდნენ ღია ზღვასა და მის საჰაერო სივრცეში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდებსა და თვითმფრინავებს შორის ინციდენტების თავიდან აცილების შესახებ. ითვალისწინებს რა შეთანხმებულ პროცედურებს ისეთ შემთხვევებში, როცა მხარეთა ხომალდები და თვითმფრინავები მოქმედებენ ერთმანეთთან უშუალო სიახლოეს, ამ შეთანხმების მიზანია შეამციროს საშიში ინციდენტების შესაძლებლობა.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა

ცნეს რომ თანამშრომლობას, რომელიც ხორციელდება ისეთ დარგებში, როგორიც არის ატომური ენერგია, კოსმოსური კვლევა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა დარგები, ხარგებლობა მოაქვს ორივე ქვეყნისათვის და პოზიტიური წვლილი შეაქვს მთლიანად მათი ურთიერთობის განვითარებაში.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოება ურთიერთსარგებლობისა და ერთობლივი მეცადინეობის საფუძველზე, რომელიც თვალისწინებს საერთო მიზნების მიღწევას, შეეხებამება ორივე ხალხის ინტერესებს და ხელს უწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამასთან დაკავშირებით ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ. ერთობლივი თანამშრომლობის პროგრამების განსაზღვრისა და შემუშავებისათვის შეიქმნება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შერეული კომისია.

თანამშრომლობა კოსმოსის დარგში

გაითვალისწინეს რა ის როლი, რომელსაც სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებენ კოსმოსური სივრცის მშვიდობიან კვლევაში, მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სფეროში მათს შემდგომ თანამშრომლობას. კოსმოსში ადამიანის ფრენის უსაშიშროების გადიდებისა და შემდგომში ერთობლივი მეცნიერული ექსპერიმენტების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით მხარეები შეთანხმდნენ მოაწყონ სამუშაოები ისეთი საშუალებების შესაქმნელად, რომლებიც შესაძლებელს გახდიან საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების და სადგურების შეპირაპირებას. გათვალისწინებულია, რომ 1975 წელს მოეწყოს პირველი ერთობლივი ექსპერიმენტი, რომლის დროსაც შეპირაპირებენ პილოტირებულ ხომალდებს და ერთმანეთის ხომალდებში გადავლენ კოსმონავტები, ამ ექსპერიმენტებს მოამზადებენ და განახორციელებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო იმ პრინციპებისა და პროცედურების შესაბამისად, რომლებსაც კონსტიტუციების გზით შეიმუშავებენ.

თანამშრომლობა ჯანმრთელობის დაცვის დარგში

ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადება საფუძველს უყრის აზრთა ნაყოფიერ გაზიარებასა და ერთობლივ შეტევას საერთო მტრების — ავადმყოფობათა და სხვადასხვა სნეულებათა წინააღმდეგ. თავდაპირველი მეცნიერული მეცადინეობა მოხმარდება ისეთ, მთელი კაცობრიობისათვის საინტერესო პრობლემებს, როგორიც არის კიბოსა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, აგრეთვე ადამიანის გარემოს დაცვის სამედიცინო ასპექტები. მიღებულია მხედველობაში, რომ ეს თანამშრომლობა მომავალში გაფართოვდება და მოიცავს ჯანმრთელობის დაცვის ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა პრობლემებს. მხარეებმა განაცხადეს, რომ მთლიანად უჭერენ მხარს ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანამშრომლობის პროგრამას და შეთანხმდნენ განაგრძონ ორივე მთავრობის აქტიური მონაწილეობა აღნიშნული დარგის საერთაშორისო ორგანიზაციათა მუშაობაში.

თანამშრომლობა გარემოს დაცვის დარგში

დაიწყება ადამიანის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების საქმეში თანამშრომლობის პროგრამის განხორციელება. ერთობლივი კვლევისა და ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელების გზით საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს ამედი აქვთ წვლილი შეიტანონ თავიანთ ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოში ადამიანის ჯანმრთელობისათვის ხელსაყრელი გარემოს დაცვაში. გარემოს დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ დადებული შეთანხმების შესაბამისად აღნიშნულ შეთანხმებებს მოამზადებენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ეროვნული ხელმძღვანელობა თანამშრომლობის ფარგლებში, სადაც ისინი შრომობენ, ახლა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესასხვედრად გამლილი შეჯიბრების ხუთი თვის შედეგების აჯამებენ, ამწყობ ზეინკლები ეამაყებათ, რომ განვლილი პერიოდის დაკალებები კარგა ხნის შესრულებული აქვთ. სურამუზე: ამწყობი ზეინკლები დ. რაზმაძე და ბ. კაზაროვი.

ბ. ბოგოსიანის ფოტო.

მიღებულია ღირი ზოგება

ჰიროშიმა. (საკ. კორ.). გამართულად მუშაობს ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი, რომელმაც 12 მაისისათვის შეასრულა ხუთი თვის დავალება — 3.351.800 ტონის ნაცვლად 3.392.600 ტონა ტვირთი გადაზიდა. აქედან გადაზიდულია 998.700 ტონა მარგანეცი, ხუთი თვის გეგმა შესრულებულია 102,3 პროცენტით.

ავტოტრანსპორტელებმა ხელფასის ფონდში დაზოგეს 12.856 მანეთი, მოგებამ 170.098 მანეთი შეადგინა. თავდადებულად მუშაობენ ორდენოსანი მძღოლები გ. ბარათაშვილი, შ. ღვალაძე, კომუნისტური შრომის დამკვრელები ა. გაფრინდაშვილი, ო. ღავთაძე, ა. ჭიღლაძე და სხვები, რომლებიც ოთხ დღეში ხუთი დღის გეგმას ასრულებენ.

საწარმოს კოლექტივი ოქტომბრის ანგარიშში მუშაობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკელი ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

პარტიული ცხოვრება

ვლადიმერ ილიჩ ლენინის ორდენოსანი ჭიათურის მარგანეცმრეწველთა ს. ლენინის სახელობის მაღაროს პარტიული კომიტეტი დიდათ ზრუნავს მშრომელთა ეკონომიური განათლებისათვის. წელს აქ მეცადინეობდა ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელი ოთხი დაწყებითი სკოლა, პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი სამუალო რგოლის ორი სემინარი და პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი უმაღლესი რგოლის ერთი სემინარი. ეკონომიურ ცოდნას ეუფლებოდა 230 მაღაროელი, წარმოების მეთაური.

დანიშნულ დროზე დაიწყო პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი უმაღლესი რგოლის სემინარის შემაჯამებელი მეცადინეობა. მასში 25 მსმენელია გაერთიანებული. მეცადინეობაზე მსოლოდ სამი მსმენელი ვერ მოვიდა საპატიო მიზეზით. აქ არიან საწარმოო უბნებისა და განყოფილებების უფროსები, მექანიკოსები და ენერგეტიკოსები, ეკონომისტები და ბუღალტრები. სემინარს უძღვება მაღაროს მთავარი ინჟინერი კ. მჭედლიშვილი. იგი ათი წელია პროფაგანდისტად მუშაობს.

მეცადინეობა გაშლილი საუბრით დაიწყო. სიტყვა აიღო მაღაროს ნორმადარმა ვენერა გელაშვილმა. მან ილაპარაკა სოციალისტური წარმოების თავისებურებებსა და პროლეტარიატის დიქტატურის როლზე სოციალისტური ეკონომიკის შექმნა-განვითარებაში. ნაწილ დაახასიათა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის აუცილებლობა.

ეუფლებიან ეკონომიურ ცოდნას

მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი

საწარმოო ძალების და საწარმოო საშუალებების არსზე, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის როლზე საწარმოო ძალთა განვითარებაში, სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოქმედების თავისებურებებსა და სოციალისტური ეკონომიკის მართვის ლენინურ პრინციპებზე შეჩერდნენ ინჟინრები — მაღაროს პოლიტიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ლენა ზაჭარიაძე და ტექნიკური სწავლების განყოფილების უფროსი ნათელა ნეფარიძე.

სამეურნეო ანგარიშისა და რენტაბელობის არსი, ამოცანები და მნიშვნელობა კარგად განმარტეს მაღაროს ელმეურნეობის უფროსმა ა. ნეფარიძემ და კარიერის უფროსმა ა. გაფრინდაშვილმა. მათ დაახასიათეს წარმოების რენტაბელობის გადიდების გზები და პრაქტიკული შესაძლებლობანი. წარმოების ეკონომიური სტიმულირების ფორმები და მათი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის აღმავლობაში.

მაღაროს სალიანდაგო გზების უფროსმა ი. შუბითიძემ გააშუქა მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოქმნის, განვითარების, სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების, ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები და მათი ეკონომიური შეჯიბრების საკვანძო საკითხები...

სემინარის ხელმძღვანელი კ. მჭედლიშვილი მსმენელებს გზადაგზა აძლევდა საქმიან შენიშვნებს, ხოლო მეცადინეობას სწორ შინაარსიან მიმართულებას. ყურადსაღებია ისიც, რომ სემინარის მსმენელთა უმრავლესობა პოლიტიკური ეკონომიის თეორიულ საკითხებს მოხერხებულად უკავშირებდა მაღაროს კოლექტივის წინაშე დასახულ კონკრეტულ ამოცანებს — შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების კიანიფებას, რენტაბელობის ამაღლებას, მადნის ხარისხის გაუმჯობესებას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

შემაჯამებელი მეცადინეობები მოწმდებულად და შინაარსიანად ჩატარდა აგრეთვე იმ სემინარებსა და სკოლებში, რომელებსაც პროპაგანდისტები გ. კვანტიძე, ა. ბარათაშვილი, დ. ცხოვრებაძე, გ. გოშაძე, გ. ქაბუშადე, დ. ლეთოდიანი უძღვებიან. შემოწმებამ დაგვანახვა, რომ მსმენელთა დიდი უმრავლესობა საფუძვლიანად ფლობს ეკონომიურ ცოდნას. მაგრამ ზოგი მსმენელის საუბარში შესამჩნევი იყო ფორმალიზმისა და სკოლარობის ნიშნები. სამწუხაროდ, ეკონომიურ ცოდნას ყველა მსმენელი პრაქტიკულად ვერ უხამებს საწარმოო საქმიანობას, რაც მომავალში გათვალისწინებულ უნდა იქნას.

შემაჯამებელი მეცადინეობების შემდეგ მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. ცუხიშვილი და პარტიული კომიტეტის წევრები ესაუბრნენ მსმენელებს მომავალი სასწავლო წლის ამოცანებზე. მათი ნებასურვილისა და ჰორიზონტის გათვალისწინებით განსაზღვრა სწავლების ფორმები და მიმართულება. სასწავლო წლის შედეგებსა და მომავალი წლისათვის მზადებაზე იმსჯელეს პარტიული კრებები.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბ ო რ ტ ი მ ჯ ღ ა ბ ნ ე ლ ი

ბანცხადება მსხვილი ასოებით ეუწყებოდა, რომ ზუგდიდის ჩაის ხაწნეს ფაბრიკაში მოწვეული იყო დასურული პარტიული კრება. იგი განხილავდა სკკპ წევრის, ფაბრიკის ყოფილი იურისკონსულტის პლატონ ჯინჯოლავის პერსონალურ საკითხს. კრებაზე დასწერა ფაბრიკის ბეჭრმა მუშა-მოსამსახურემ ისურგა. პარტორგანიზაციის მდივანი ნ. მელია იძულებული გახდა კრების განსახმამდე კომუნისტებს მოთათბირებოდა — კრება ჩაიტარებინათ დასურული თუ ღია?

უპარტიო აქტივის სურვილი დააკმაყოფილეს. დანიშნულ დროზე დაიწყო ღია პარტიული კრება. კრებამ დღის წესრიგი დაამტკიცა. სიტყვა ეძლევა პ. ჯინჯოლავას მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ცილისმწამებელური ხელმოწერილი და ანონიმური წერილების შესასწავლად სპეციალურად გამოყოფილი კომისიის თავჯდომარეს, კომკავშირის ბუღდიდის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ო. ჭითანავას.

აი მოკლედ ის, რაც შემოწმებით გამოვლინდა:

პ. ჯინჯოლავა 1966 წლიდან ზუგდიდის ზონის ჩაის ფაბრიკების იურისკონსულტად მუშაობდა. იგი თანამდებობით მინიჭებულ უფლებებს აჭარბებდა და წარმოების ხელმძღვანელთა კანონიერ შენიშვნებს არად აგდებდა, ეძებდა სუსტი ნებისყოფის ადამიანებს, რომელთაგან ამხედრებდა ფაბრიკის კოლექტივისა და დირექციის წინააღმდეგ, აიძულებდა მათ მწერათ უსახელო წერილები.

პ. ჯინჯოლავა აბუნად იგდებდა თითქმის ყველა თანამშრომელს. ერთხელ კაბინეტში შეუვარდა ფაბრიკის ლაბორატორიის თანამშრომელს, კომუნისტ ქალს და მოუნდომა შეურაცხყოფის მიყენება.

კაცი, რომელიც სხვას მახეს უგებდა, ბოლოს თვითონ გაეგო მახეში. მის სწორ გზაზე დასაყენებლად პარტიულმა ორგანიზაციამ, ფაბრიკის კოლექტივმა რა არ იღონა, რა ზომები არ გაატარა. მუშებმა დაგმეს პ. ჯინჯოლავას საქციელი, მაგრამ მისი გამოსწორება არ იქნა და არა. კვლავ

ს ი მ ი ნ დ ი — საუკეთესო ჯიშია

მარცვლეულის მოსავლიანობის გაადიდების დიდი რეზერვი

მარცვლეულის წარმოების გადიდება სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარების საფუძველია. ამიტომ არის, რომ მიმდინარე ხუთწლედში მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა გადაუდებელი საბრძოლო ამოცანაა. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი - პარტიის XXIV ყრილობაზე მიუთითებდა: „ისევე, როგორც წინათ, ახლაც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მარცვლეულის წარმოება გადიდება“.

ამჟამად დიდი მუშაობაა გაჩაღებული ამ საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესასრულებლად. მარცვლეულის წარმოების გადიდებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სიმინდის წარმოების გადიდებამ, რადგან სიმინდი უბვმოსავლიანი კულტურაა, რომელსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. სიმინდის წარმოების გადიდებით ძირითადად უნდა გადაწყდეს ჩვენს რესპუბლიკაში მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზით უზრუნველყოფის საკითხი.

ჯერ კიდევ ფ. ენგელსი მიუთითებდა იმის შესახებ, რომ „სიმინდი სასაკეთესოა პურეულის ყველა კულტურას შორის“.

ვ. ი. ლენინი, განიხილავდა რა სიმინდის კულტურის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, ხაზგასმით აღნიშნავდა: „სიმინდის (და ლობიოს) პაპირტმოსრა მთელი რიგი თვალსაზრისით, მეტყობა, დამტკიცებულია. რაკი ეს ასეა, უნდა მივიღოთ უფრო სწრაფი, უფრო ენერგიული ღონისძიებანი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თესლი საჭირო ჩვეულებრივზე 10-15-ჯერ ნაკლები. ეს თითქმის გადამწყვეტი მოსაზრებაა“.

ვ. ი. ლენინის ამ მითითებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს პირობებისათვის, სადაც მარცხეულის ბალანსში სიმინდის ხვედრითი წონა დიდია.

სიმინდის წარმოებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს კულტურა ჩვენში მე-17 საუკუნეში შემოიტანეს ამერიკიდან, საიდანაც გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სიმინდის კულტურის წარმოება პირველად დასავლეთ საქართველოში დაიწყო, რადგან აქ საუკეთესო პირობები იყო მისი განვითარებისათვის (თბილი ჰავა, ნიადაგობრივი პირობები და სხვ.), შემდეგ კი, მე-19 საუკუნეში თანდათან ვრცელდება აღმოსავლეთ საქართველოშიც.

სიმინდისადმი დიდმა ყურადღებამ განაპირობა მისი მოსავლიანობის ზრდა, რის შედეგადაც სიმინდმა ფართო საექსპორტო ხასიათი მიიღო. საქართველოდან სიმინდის მარცვალი საკმაო რაოდენობით გადიოდა ევროპის ქვეყნებში და მას ფართო ბაზარი ჰქონდა. სიმინდის ექსპორტის ზრდაზე დიდი ვავლენა იქონია ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტებმა. აქედან დიდი რაოდენობით გადიოდა სიმინდი. არსებული მონაცემების მიხედვით, მარტო ქუთაისის გუბერნიიდან ყოველწლიურად დასავლეთ ევროპის ბაზრებზე 6 მილიონი ფუთი სიმინდი გადიოდა.

ქართული სიმინდი თავისი ღირსებითა და ხარისხით შესანიშნავი ყოფილა. მაგალითად, 1862 წელს ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე ყვარლიდან გატანილ სიმინდს საუკეთესო, ს

ამერიკიდან

ყოველდღიური

საბრძოლო მოქმედება ინდოჩინეთში

ნიუ-იორკი, 30 მაისი. (საკ-დესი). ქალაქ კონტუმში გრძელდება გაფფრთხილებული ბრძოლები. განთავისუფლების ძალებმა ხელთ იგდეს მთელი რიგი პოზიციები ქალაქის ჩრდილოეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბნებში და აძლიერებენ შეტევას. პატრიოტებმა არტილერიის ცეცხლით დაანგრიეს საიგონის ჯარების საკომანდო პუნქტი და რამდენიმე სხვა სამხედრო ობიექტი.

მარიონეტული არმიის სარდლობა ცდილობს ალყაშემორტყმულ ქალაქში გაგზავნოს მაშველი ძალები თვითმფრინავებით. საიგონმა ოფიციალურად ცნო სამი რეკტიული თვითმფრინავის დაკარგვა, რომლებიც ჩამოადგეს ამ რაიონში. კონტუმის აღმოსავლეთით ბრძოლები მიმდინარეობს № 19 სტრატეგიული გზის გასწვრივ. პატრიოტები კონტროლს უწევენ ამ მაგისტრალის მეტ ნაწილს, რომელიც ქალაქ პლეიკუსა და კონტუმს აკავშირებს ზღვის სანაპიროსთან. განთავისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა შეუტიეს მოწინააღმდეგეს ქალაქ ბინქ-ხეში.

შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობს აგრეთვე თხიათხიენის პროვინციაში, სადაც პატრიოტები განუწყვეტლივ უტევენ მოწინააღმდეგის მიჯნებს ქალაქ ჰიუეს მისადგომებთან. განთავისუფლების ძალები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწევიან პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში მდინარე მიტიანის გასწვრივ, აგრეთვე 19 კილომეტრზე ჰიუეს სამხრეთ-დასავლეთით.

სამხრეთის სამხედრო სექტორში ეროვნული განთავისუფლების ჯარებს ხელთ უპყრიათ ინიციატივა № 13 გზის რაიონში საიგონსა და ანლოკს შორის, ჩაიფუშა მარაიონეტული არმიის ნაწილების ახალი ცდები — გაეღწიათ ანლოკის ალყაშემორტყმულ გარნიზონთან.

აღინიშნება, რომ გაძლიერდა პატრიოტთა შეტევა მოწინააღმდეგის ოპოზიციებზე ფიოქტუის სანაპირო პროვინციაში 70 კილომეტრზე საიგონის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

კამბოჯის პატრიოტული ძალები აქტიურებენ შეტევითს ოპერაციებს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში. ისინი არტილერიის ცეცხლს უშენენ პნომპენის ჯარების გამაგრებულ პუნქტებს ქალაქ სიემრეაპის გარშემო. განფირებული ბრძოლები მიმდინარეობს სულ 5 კილომეტრზე ქალაქიდან.

მოწინააღმდეგეს სეროზული ზარალი მოსდის. პნომპენის არმიის სარდლობის წარმომადგენელი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამ რაიონში ბოლო ხანს მდგომარეობა „გაუარესდა“. პატრიოტები ცეცხლს უშენენ აგრეთვე სვაირიენგის ალყაშემორტყმულ გარნიზონს, კამბოჯის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ჰანოი, 30 მაისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამელმა პატრიოტებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს საბრძოლო ოპერაციების დროს ქალაქ ჰიუეს ჩრდილოეთით.

21-27 მაისს მდინარე მიტიანის რაიონში განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა მწყობრიდან გამოიყვანეს საიგონის არმიის 2.300-ზე მეტი ჯარისკაცი და ჩამოაგდეს 26 თვითმფრინავი, მოსპეს 19 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი. ააფეთქეს დიდი სამხედრო ნაწყობი.

პატრიოტულმა ძალებმა გაათავისუფლეს ვრცელი ტერიტორია ბინდინის სანაპირო პროვინციაში. 12-20 მაისს მათ არაერთგზის მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგის გამაგრებულ პუნქტებზე ანენის, ბინქხის, ფუმისა და სხვა რაიონებში.

საიგონის ჩრდილოეთით მოქმედი განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ნაწილები წარმატებით იგერიებენ საიგონის ჯარების ცდებს — გაარღვიონ ანლოკის ალყა. როგორც ჰანოის გაზეთი „ქუან დიი ნიან ზანი“ წერს, 9 აპრილიდან დღემდე პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ამ ქალაქის რაიონში გადმოსხმული ორი ავიასადესანტობრიგადა. გაზეთი აღნიშნავს, რომ რაც უფრო მეტ მაშველ ძალებს გზავნის საიგონის სარდლობა ალყაშემორტყმულ ანლოკთან, მით უფრო მატულობს მარიონეტული არმიის დანაკარგები.

ᲠᲝᲛᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ

30 მაისი. (საკდესი). იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ დღეს დაიწყო პოლიტიკური კონსულტაციები მთავრობის კრიზისის მოწესრიგებისა და ახალი კაბინეტის შექმნის მიზნით. მან მიიღო რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტები ჯ. გრონკი და ჯ. სარაგატი. კონსულტაციების კალენდარი, რომლებიც 4 ივნისამდე გასტანს, ითვალისწინებს, კერძოდ, ჯ. ლეონეს შეხვედრებს პარლამენტში წარმოდგენილ პარტიების ლიდერებთან, აგრეთვე ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებთან.

3 ივნისს პრეზიდენტი მიიღებს იტალიის კომპარტიის დელეგაციას იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის ე. ბერლინგუერის მეთაურობით.

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

30 მაისი. (საკდესი). „თურქეთის მთავრობას განზრახული აქვს კეთილმეზობლური ურთიერთობა იქონიოს და განავითაროს იგი საბჭოთა კავშირთან, — განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ფერით მელენმა, როცა პარლამენტის ეროვნულ პალატაში აშუქებდა ახალი მთავრობის პროგრამას.

საგარეო პოლიტიკის დარგში, თქვა ფერით მელენმა, მთავრობა დაიცავს ათათურქის პრინციპებს. იგი შეეხო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას და ხაზი გაუსვა, რომ „ჩვენი გულწრფელი სურვილია ახლო აღმოსავლეთის კრიზისის სამართლიანი გადაჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის ფარგლებში“. პრემიერ-მინისტრმა აგრეთვე დაადასტურა თურქეთის მისწრაფება მიიღწიოს კვიპროსის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას.

საშინაო პოლიტიკის დარგში, აღნიშნა ფერით მელენმა, მთავრობას განზრახული აქვს განახორციელოს მთელი რიგი რეფორმები, რათა უზრუნველყოს ქვეყნის განვითარება ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში და ხელშემწყობი პირობები შექმნა პარლამენტის მორიგი არჩევნების მოწყობისათვის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში — 1973 წლის ოქტომბერში.

ᲑᲔᲚᲤᲐᲡᲢᲨᲘ, ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲓᲔᲠᲨᲘ, ᲜᲘᲣᲠᲬᲘ ᲐᲠ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲮᲐᲜᲫᲠᲔᲑᲘ, ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘ. ᲘᲔᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲦᲐᲜᲐᲣᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: კათოლიკური კვარტალის მცხოვრებნი გარბიან ალმოდებული სახლებიდან.

ᲙᲐᲛᲔᲠᲐ ᲞᲠᲔᲡ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲐᲗᲔᲜᲘ. იორდანელმა არქეოლოგებმა ამანის სამხრეთით ექვს მილზე ერთ-ერთი ბორცვის გათხრების დროს აღმოაჩინეს ნაშთი ძველი, კარგად გამაგრებული ქალაქისა, რომელსაც საკუთარი აკროპოლი და ტაძარი ჰქონია.

როგორც არქეოლოგიის დეპარტამენტის მეთაურმა დოქტორმა მოაფეი იბრაჰიმმა განაცხადა, ამ ქალაქის აყვავების ხანა ძველი წელთაღრიცხვის მე-2 ათასწლეულს განეკუთვნება. გათხრების დროს ნაპოვნი თიხის ნაკეთობანი, ტერაკოტის პატარა ქანდაკებანი და სხვა საგნები მოწმობენ ქალაქის ცხოვრებთა მაღალ კულტურას.

გათხრების დროს აღმოაჩინეს აგრეთვე გამოქვაბულები სამარხებითა და საოჯახო საგნებით. ეს ნაპოვნები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ უკვე ძველი წელთაღრიცხვის მე-4 ათასწლეულში იმ რაიონში, სადაც ამჟამად იორდანიის დედაქალაქი მდებარეობს, მუდმივი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ყოფილა.

იორდანელი მეცნიერები ფიქრობენ, რომ ქალაქი გაუნადგურებია ძლიერი ხანძარის, რომელიც, ალბათ ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულის დამდეგს გარნენილა დამპყრობთა შემოჭრის შედეგად. (საკდესი).

□

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲦᲒᲘᲚᲖᲔ ᲛᲡᲠᲝᲤᲚᲘᲝᲕᲘ

ტოკიო, 30 მაისი. (საკდესი). ექვსი ათასი კაცი დაიღუპა იაპონიის გზებზე მიმდინარე წელს, აღნიშნულია პოლიციის მთავარი სამმართველოს აქ გამოქვეყნებულ მონაცემებში.

მოძრაობის უსაშიროების უზრუნველყოფად მთელი რიგი ადმინისტრაციული ღონისძიებებისა და კამპანიების შედეგად, წელს იმ საგზაო კატასტროფების რიცხვი, რომლებსაც სიკვდილი და დასახიჩრება მოჰყვა, დაახლოებით სამი პროცენტით შემცირდა შარშანდელთან შედარებით.

მიუხედავად ამისა ქვეყანაში საავტომობილო კატასტროფების მსხვერპლი ყოველდღიურად ხდება 40-ზე მეტი კაცი, და იაპონიას კვლავ ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში კატასტროფებისა და სხვა უბედური შემთხვევების შედეგად გზებზე დაღუპულ ადამიანთა რიცხვის მხრივ.

□

ᲥᲐᲚᲘ — ᲛᲝᲛᲔᲜᲡᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ

ᲒᲖᲐᲯᲕᲐᲠᲔᲓᲘᲜᲖᲔ. ბანქინე ბოჭეიდის შექმნა ჩვეულებრივი მოვლენაა რომის მცხოვრებთათვის. მაგრამ ისეთი ქაოსი და აურზაური, როგორსაც ამას წინათ ჰქონდა ადგილი ქალაქის ერთ-ერთ ზეაჯვარედინზე, არასოდეს არ ენახათ ყველაზე გამოცდილ პოლიციელებსაც კი. ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ პირველად „მამაკაცურ საქმეს“ ხელი მოჰკიდა 23 წლის ანჯელა ბასპარიმ — იტალიაში ქეჩაში მოძრაობის პირველმა ქალმა-მომწესრიგებელმა. ყველა, ვინც ახლოს გაივლიდა, თავს მოვალედ თვლიდა გაჩერებულიყო და თავისი გაკვირვება გამოეხატა, ამის გამო შეიქმნა მანქანების წარმოუდგენელი ქედი.

□

ᲔᲒᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲖ

ᲠᲝᲛᲘ, 30 მაისი. (საკდესი). 1957 წლიდან დღემდე იტალიის მეზეურმეების სახელმწიფო კოლექციებიდან და ეკლესიებიდან მოიპარეს 22 ათასზე მეტი ხელოვნების ნაწარმოები.

მარტო 1971 წელს გაიტაცეს 4.927 სურათი და ქანდაკება. იტალიის სიძველის ძეგლებისა და მხატვრული ღირებულებათა დაცვის სამმართველო, რომელიც შეაშფოთა შექმნილმა მდგომარეობამ, ახორციელებს სასწრაფო ღონისძიებებს ქურდებთან საბრძოლველად. სპეციალისტთა კომისია უახლეს გასაფრთხილებელ სისტემებს დგამს სურათების გალერეებში, ეკლესიებსა და ტაძრებში, სადაც თავმოყრილია უმნიშვნელოვანესი ხელოვნების ნაწარმოებები.

ქურდების წინააღმდეგ გამოიყენენ რთულ ელექტრონულ აპარატურას, ტელევიზიას, ულტრაგამტარითს ხელოსნებსა და ლაზერებს.

□

ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 30 მაისი. (საკდესი). ჩრდილოეთის ზღვაში მდებარე დასავლეთ გერმანიის გიგოლანდის კუნძულზე დაიმსხვრა ავიაკომპანია „ჭენერალ ეირის“ სამგზავრო თვითმფრინავი, რომელშიც 18 კაცი იყო.

ექვსი კაცი, მათ შორის ორივე პილოტი, დაიღუპნენ. შვიდი — მძიმედ დაშავდა.

ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ: ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲑᲔᲠᲘ მწარე დღე განუცდიათ არაბ ხალხებს, ეგვიპტელებს კი უფრო მეტად უგემნიათ სიდუხჭირე ვიდრე ბედისა. 1967 წლის 5 ივნისის დღე გამოირჩევა სივერაგით თითქმის სამ მილიონამდე დღეთა შორის, რომელთაც ეგვიპტე შეხვედრია. დღე კარგად კი დაიწყო, მას კაირო ხალხთ გატენილი ქუჩებითა და ხმაურით შეხვდა. მშრომელი მოსახლეობა აპყავ ალსს. ტრამვაი, ავტობუსები და ტროლეიბუსები ადრე დილით მიაქროლებდნენ მუშებს ქარხნებისაკენ, მოსამსახურეებს დაწესებულებებისაკენ, მოსწავლეებს და სტუდენტებს სკოლების, უნივერსიტეტისა და ინსტიტუტებისაკენ...

ასეთი იყო 5 ივნისის დილა, უცბად ყველაფერი შეიცვალა. თითქოს რაღაც უსიოლამა ძალამ სულ ერთ წამში მოსპოო სიცოცხლე ამ დიდ ქალაქში. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კი უცბად აყვირდნენ სირენები, აყვირდნენ ისე, როდესაც სახიფათოსა და უცნაურ რამეს აცნობებენ ხოლმე. გაისმა კაირის სამხედრო-საჰაერო ბაზის „კაირო უკსტის“ თავზე გამორეკილი ისრაელის თვითმფრინავების ღმენი. ომი დაიწყო! გაისმა სადღაც რადიოს ხმა. მერე აიტაცა ეს სიტყვები მთელმა კაირომ.

ნახევარი საათის შემდეგ რადიომ გაიმეორა საზარელი სიტყვები: „ომი დაიწყო, ისრაელმა მოაწყო საჰაერო თავდასხმა!...“

ეს იყო და ეს. დასაბამი მიეცა რთულ ვითარებას არაბულ აღმოსავლეთში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკურ სარბაელზე ძალთა ახალი განლაგება შეიქმნა. მშვიდობის, პროგრესისა და სოციალიზმის ძალების შემდგომი ზრდისა და განმტკიცების, მათი დახმარების და მხარდაჭერის შედეგად ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, კერძოდ არაბთა ბრძოლამ ეროვნული რევოლუციის გაღრმავებისათვის უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

ისრაელის სამხედრო ხროვის აგრესიამ არაბული ქვეყნების წინააღმდეგ უფრო მეტად გაართულა რევოლუციის გაღრმავებისათვის ბრძოლის პროცესი. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ აგრესიამ შეამჭიდროვა მაშრიყისა და მაღრიბის არაბული ქვეყნები, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვინაიდან იმპერიალისტები და მათი ლაქია ისრაელის ექსტრემისტები ყოველნაირად ცდილობენ დაამტკიცონ, ცალკეული არაბული ქვეყნების ხალხების საერთო ინტერესები არ არსებობს, მათი ერთობლივი მოქმედება შეუძლებელიაო.

მიუხედავად რთული მდგომარეობისა, არაბულმა აღმოსავლეთმა დაამტკიცა თავისი დიდი მისწრაფება ერთიანობისაკენ იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველივე ამან კი თავის მხრივ ხელი შეუწყო ეროვნული რევოლუციის გაღრმავებას, რომლის დანახასიათებელი ნიშანია დამოუკიდებელი ეროვნული და პატრიოტული ძალების დარაზმულობა და მოწინავე არაბული ქვეყნების მჭიდრო კავშირი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან.

არაბთა ერთიანობის ლოზუნგი შემთხვევითი არ არის. იგი ობიექტურად განპირობებულია მრავალი ისტორიული, ეთნოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიური, ენობრივი ფაქტორებით. და ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ დღეგანდელ ვითარებაში ყველა არაბული ქვეყნის ბრძოლას ერთი მიზანი აქვს — ანტიიმპერიალისტური ბრძოლა, რომელიც ქმნის რეალურ საფუძველს არაბთა ერთიანობისათვის.

ერთიანობის მიღწევის შესაძლებელი ფორმა არის არაბული ქვეყნების პროგრესული ძალების ერთიანი ფრონტი, რომელიც იმპერიალიზმზე გამარჯვების საწინდარია.

არაბთა ერთიანობა სრულიადაც არ ნიშნავს ყველა არაბული ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას, რასაც ასე თავგამოდებით ქადაგებენ დასავლეთის პროპაგანდისტული ორგანოები და აღმოსავლეთის რეაქციული წრეები. ერთიანობის ასეთი ვერსია მათ ესაჭიროებათ იმისათვის, რომ ცალკეული არაბული ქვეყნების ხალხები დაშინონ, თითქოსდა უფრო განვითარებული არაბული ქვეყანა შთანთქამს შედარებით ხუსტს.

ცალკეული არაბული ქვეყნების პროგრესული ძალების მოქმედების ერთიანობა მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ არაბთა საყოველთაო ერთიანობისათვის ბრძოლის გზაზე და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის წარმატებების ერთ-ერთი საწინდარია. სწორედ ამტომ არის, რომ არაბული ქვეყნების მნიშვნელოვან სახელმწიფო და პარტიულ დოკუმენტებში სულ უფრო და უფრო გარკვეულად მითითებულია მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების (კომუნისტების ჩათვლით) დარაზმულობის აუცილებლობა. სწორედ ამაზე ამახვილებდნენ ყურადღებას ეგვიპტელი სკკპ დელეგაციის ყოფნისა და საბჭოთა კავშირში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ყოფნის თაობაზე მიღებული საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ერთობლივ კომუნიკეში. მასში ხაზგასმულია, რომ „ანტიკომუნიზმისა და ანტისოვეტიზმის“ გავრცელების ცდები აშკარად გამიზნულია არაბ რევოლუციური მებრძოლების რიგებში განსეთქილების შესატანად.

რეალური პირობები არსებობს ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში პროგრესული ძალების მობილიზებისათვის. ასეთი ძალების მობილიზება და მათი ერთობლივი მოქმედება ბევრად არის დამოკიდებული იმ პოლიტიკურ ძალების პოზიციებზე, რომლებიც მოქმედებენ ერთი მხრივ, ცალკეული არაბული ქვეყნებისა და მეორე მხრივ, მთლიანად არაბული აღმოსავლეთის მასშტაბით.

სწორ პოზიციებზე დგანან ის პოლიტიკურ ეროვნული ძალები, რომლებიც ობიექტურად აფასებენ მოვლენებს, განუმარტავენ მასებს, რომ პოლიტიკურ და მშვიდობიან საშუალებებს, რომლებსაც ძალუძთ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის გადაჭრა უომრად, არ ამოუწურავთ თავიანთი შესაძლებლობანი.

აღნიშნული პროგრესულ ძალებს შორის გამოირჩევიან არაბი კომუნისტები. არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების კომუნისტური პარტიების თათბირზე (1968 წ. ივლისი) აღნიშნული იყო, რომ პოლიტიკური ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს ჯერ არ ამოუწურავთ თავიანთი შესაძლებლობანი მათ უკვე მოუტანეს და კიდევ შეუძლიათ მოუტანონ დიდი სარგებლობა არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

არაბი კომუნისტები აკრიტიკებენ მემარცხენე ავანტიურისტულ ელემენტებს, რომელთაც დაკარგეს უნარი სწორად განჭვრიტონ მომავალი, ხშირად წამოსცდიან ორგანიზებული, მასობრივი პოლიტიკური ბრძოლის უარყოფის ლოზუნგებს და მის ალტერნატივად აიხადებენ მხოლოდ ერთ მეთოდს — სამხედრო ძალის გამოყენებას.

არაბულ სამყაროში შესამჩნევია აგრეთვე მემარჯვენეკაპიტულანტური პოზიცია, რომელიც „ეროვნული არხეობის“ შენარჩუნების აუცილებლობის ლოზუნგის საფარით ფაქტიურად მიმართულია პროგრესული სოციალური გარდაქმნების უარყოფისაკენ.

ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში არაბული ქვეყნების მოქმედების ერთიანობა, თვითეული არაბული ქვეყნის შიგნით პროგრესულ მოსაძოვართა დაცვა და ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების გატარება შეუძლებელია ცალკეული არაბული ქვეყნების შიგნით ეროვნული ერთიანობის მიუღწეველად. სწორედ ამტომ არის, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის შექმნა არაბთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა. მართალია, არსებობენ ცალკეული წინააღმდეგობანი ამ ძალებს შორის, მაგრამ ისინი ხელს არ უშლიან არაბთა ერთობლივ მოქმედებას ძირითად საკითხებში.

ამ მიმართულებით უკვე მოპოვებულია გარკვეული მიღწევები. ისინი განპირობებულია განმათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნული საერთოდმოკრატიული ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლით.

პროგრესული არაბული ქვეყნების მიღწევები დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნაში მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობასა და ეკონომიურ თანამშრომლობასთან. საბჭოთა კავშირის დახმარება მიმართულია ეროვნული მრეწველობის განვითარებისაკენ, ის ხელს უწყობს ეროვნული სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშაკის მომზადებას. საბჭოთა კავშირი ეგვიპტეს ეხმარება 106, სირიას — 50, ერაყს — 72, ალჟირს — 80-ზე მეტი, იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას 40-ზე მეტი სამრეწველო და სხვა ობიექტის მშენებლობაში.

მოწინავე არაბულმა ქვეყნებმა საგრძნობი მიღწევები მოიპოვეს ინდუსტრიალიზაციისა და მრეწველობაში სახელმწიფოს სექტორის განვითარების საქმეში. უცხოელ მონოპოლისტთა სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციისა და ადგილობრივი ბურჟუაზიის ქონების რაოდენობის შეზღუდვის (პირველ რიგში მსხვილი ბურჟუაზიის) გზით მათ მიაღწიეს ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას. 1952 წლიდან ეგვიპტეში ამენდა ათასამდე სამრეწველო საწარმო, რომლებიც ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის საფუძველს შეადგენს. ამასთან ერთად, არაბულ ქვეყნებში მოქმედებს კერძო სექტორი, რომელიც სახელმწიფო კონტროლის მეშვიობით მონაწილეობს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში.

მოწინავე არაბული ქვეყნების ეკონომიურ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ეროვნული ნავთობის მრეწველობა, რომლის საშუალებითაც სულ უფრო და უფრო მცირდება უცხოეთის ნავთობის მონოპოლიების გავლენა არაბული ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. აღჟირმა გასულ წელს შეძლო მიეღწია იმისათვის, რომ ეროვნული ნავთობის მოპოვების სამოც პროცენტზე მეტს მთავრობა უწევდეს კონტროლს. მომდინარე წლის 7 აპრილს მუშაობა დაიწყო ერაყის ეროვნულმა ნავთობის კომპანიამ ჩრდილოეთ რუმეილაში, რომელიც ამენდა საბჭოთა კავშირის დახმარებით. სირიაში ნავთობის ამოღებას მთლიანად სახელმწიფო ახორციელებს. ეგვიპტეც კონტროლს უწევს ნავთობის მზარდ ამოღებას. აღნიშნულ ოთხ არაბულ ქვეყანაში გასულ წელს სულ ამოღებული იქნა 320 მილიონი ტონა ნავთობი, ხოლო მთელ არაბულ აღმოსავლეთში 700 მილიონი ტონა. ეს ციფრები იმაზე მეტყველებენ, რომ პროგრესულ არაბულ ქვეყნებს საშუალება აქვთ „ნავთობის ბერკეტის“ მეშვეობით ეფექტურად იმოქმედონ დასავლეთის სახელმწიფოებზე, რათა აიძულონ ეს უკანასკნელნი დათანხმდნენ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიან მოგვარებაზე.

ბოლო ხანებში ფართოვდება გლეზნების კოოპერირება, ვრცელდება კოოპერაციის მოწინავე ფორმები. ამჟამად ეგვიპტეში 4.340 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია, აქედან 429 საწარმოო ხასიათისა, სულ კოოპერატივებში გაერთიანებულია 1,5 მილიონზე მეტი ფელახი და მათ წილად მოდის დასამუშავებელად ვარგისი მიწების 55 პროცენტი. სირიაში არსებობენ საწარმოო ხასიათის კოოპერატივები. სასოფლო-სამეურნეო საგრეგულო ერთ მუსამეზზე მეტი აღჭურვილი გადაეცა თვითმმართველობის კომიტეტებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების საზოგადოებრივ სექტორს შეადგენენ. ერაყის მთავრობა გლეხობის კოოპერირების წახალისების პოლიტიკას ახორციელებს. იემენის რესპუბლიკაში მოლიანად ნაციონალიზებულია სულთანების, ემირებისა და შეიხების მფლობელობაში მყოფი მიწები.

დღითიდღე მტკიცდება არაბული ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან. და ეს არის იმის გარანტია, რომ ამ სახელმწიფოების ხალხთა ხვალინდელი დღე კიდევ უკეთესი იქნება.

ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲝᲛᲐᲠ ᲥᲐᲯᲐᲘᲐ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

30 მაისი. (საკდესი). ხლოვაიის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა ამერიკავკასიის სამი საბჭოთა რესპუბლიკის სამხატვრო გამოფენას ბრატისლავაში.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ცნობილი ოსტატებისა და მხატვართა ახალი თაობის დაახლოებით 500 ექსპონატი — ფეოწერა, გრაფიკა, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება — ეძღვნება ამ რესპუბლიკების ხალხთა ისტორიულ წარსულსა და სოციალისტურ აწყოს, მათ შესანიშნავ მიღწევებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოიპოვეს.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

30 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეები აღნიშნავენ, რომ დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებით.

„ჩვენ მიგვაჩნია, — განაცხადა სამშენებლო კომპანია „სუვინდელდრესლერის“ ვიცე-პრეზიდენტმა დონალდ სტინგელმა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, რომ მოწყობილობის, ნედლეულის გაცვლა, აგრეთვე ტექნიკური გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს უკეთეს ურთიერთგაგებას და დაიცავს ჩვენს ქვეყნებს მიაღწიონ ცხოვრების კიდევ უფრო მაღალ დონეს“.

„ჩვენ ძალიან დაინტერესებული ვართ, — აღნიშნა სტინგელმა, — რომ მოისპოს ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან ვაჭრობის განვითარებას შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის“.

„საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, — განაცხადა კომპანია „ბენდიქს ინტერნეშნლის“ ვიცე-პრეზიდენტმა სპენსერ როსმა, — რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს განავითაროს ვაჭრობა შეერთებულ შტატებთან, და ეს შეესაბამება ჩვენს საკუთარ მისწრაფებებს“.

მანქანათსაშენებელი ფირმა „კროს კომპანი“ 1933 წლიდან აწარმოებს ვაჭრობას საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებთან. „ამ წლების მანძილზე, — განაცხადა ფირმის პრეზიდენტმა რალფ კროსმა, — ჩვენ დავრწმუნდით, რომ რუსების სავაჭრო ეთიკა უმწიკვლოა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენმა კონტაქტებმა ხელი შეუწყვეს ურთიერთგაგების გაუმჯობესებას საბჭოთა კავშირსა და ამერიკის ხალხებს შორის, და განზრახული გვაქვს განვაგრძოთ საქმიანი თანამშრომლობა“.

ᲙᲐᲠᲘᲑᲘ ᲯᲐᲚᲐᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲝᲡ

30 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია მიაღწიოს იმას, რომ მართლმსაჯულებას გადაეცეს და დაისაჯოს სამშეფდრო ნაციესტი დამნაშავეები, გესტაპოს ყოფილი უფროსი ლიონში კლაუს ბარბიე, რომელიც ახლა ბოლივიაში იმალება.

ეს განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელმწიფო მდივანმა ჟან დე ლიპკოვსკიმ, როცა უპასუხა შეკითხვაზე ეროვნულ კრებაში.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ 15 თებერვალს პირადი წერილი გაუგზავნა ბოლივიის პრეზიდენტს და სთხოვა ხელი შეუწყოს კლაუს ბარბიეს გადაცემას საფრანგეთის მართლმსაჯულების ხელში.

ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 მაისი. (საკდესი). ქალაქ კონტუმში გრძელდება გაფფრთხილებული ბრძოლები. განთავისუფლების ძალებმა ხელთ იგდეს მთელი რიგი პოზიციები ქალაქის ჩრდილოეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბნებში და აძლიერებენ შეტევას. პატრიოტებმა არტილერიის ცეცხლით დაანგრიეს საიგონის ჯარების საკომანდო პუნქტი და რამდენიმე სხვა სამხედრო ობიექტი.

მარიონეტული არმიის სარდლობა ცდილობს ალყაშემორტყმულ ქალაქში გაგზავნოს მაშველი ძალები თვითმფრინავებით. საიგონმა ოფიციალურად ცნო სამი რეკტიული თვითმფრინავის დაკარგვა, რომლებიც ჩამოადგეს ამ რაიონში. კონტუმის აღმოსავლეთით ბრძოლები მიმდინარეობს № 19 სტრატეგიული გზის გასწვრივ. პატრიოტები კონტროლს უწევენ ამ მაგისტრალის მეტ ნაწილს, რომელიც ქალაქ პლეიკუსა და კონტუმს აკავშირებს ზღვის სანაპიროსთან. განთავისუფლების

ᲐᲛᲔᲯᲔᲯᲘ

● **ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ**

„აბესალომი და ეთერი“ კიევში

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იცან, რომ ამ დღეებში, კიევში ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე უკრაინულ ენაზე დიდი წარმატებით იქნა წარმოდგენილი ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ამ სურათებზე, რომლებიც რატაუს ფოტოკორესპონდენტმა ე. მალიშევსკიმ ჩვენი გაზეთისათვის გადაიღო, ახახულია სცენები სპექტაკლიდან. მარცხნივ, აბესალომი — ი. გოლოვაჩუკი (უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი), ეთერი — გ. ციპოლა; მარჯვნივ, სცენა სპექტაკლის მეორე მოქმედებიდან.

ვანოობა

სიღნაღის რაიონის მრომელები საყვარულით ინახავენ თავიანთ თანამემამულის, დიდი ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას.

ვანობა, რომელიც ყოველ მაისს იმართება, ნამდვილ სახალხო ზეიმად, სიმღერების დღესასწაულად იქცა. ასე იყო წელსაც. კვირას, 28 მაისს ქ. საღნაღს აუარებელი სტუმარი ეწვია თბილისიდან, მეზობელი რაიონებიდან, მოედანი ხალხით გაივსო, ისმოდა ქართული მუსიკის საამო ჰანგები.

ვანობის აღსანიშნავი საიუბილეო მიტინგი გახსნა რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ ი. სიმონიშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს პროფკომის მ. გოზალიშვილმა, ძველმა ბოლშევიკმა, პენსიონერმა გ. მირიანაშვილმა და სხვებმა. ვანო სარაჯიშვილს ლექსები მიუძღვნეს ი. შაიმელაშვილმა და ბ. ბერიაშვილმა.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენელთა და ადგილობრივი თვითშემოქმედების ძალებმა მოაწყო მხატვრული განყოფილება, იყო ქართული ხალხური და კლასიკური მუსიკის ნამდვილი ზეიმი.

გვიან საღამომდე ისმოდა საქართველოს ბულბულის, მისი თაყვანისმცემლების, ქართული ეროვნული მუსიკის საამო ჰანგები.

ვლ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

პოეზიის ნორჩი მოყვარულები

თიანეთი. (საკ. კორ.). თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატში ნაყოფიერად მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის წრე. მას მასწავლებელი რ. კვიცაშვილი ხელმძღვანელობს.

ახლახან წრის წევრებმა მოაწყეს ლიტერატურული საღამო. ნორჩმა დეკლამატორებმა წაიკითხეს გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის, ა. მირცხულავას, ი. ნონეშვილის და სხვა ქართველი მგოსნების რჩეული ლექსები.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს მოსწავლეებმა გ. ბასილაშვილმა, ლ. ხუბაშვილმა, ლ. კარპოვამ და ე. ჭურჭელაურმა.

მეორე დამარცხება სტუმრად

ტელემაყურებლები კარგად ხედავდნენ, თუ როგორ გაუბედავად, ლიდერისათვის შეუფერებელი პასიურობით დაწყეს გუშინდელი მატჩი თბილისის დინამოელებმა ერევანში. მათ მთელი ასპარეზი დაუთმეს „არარატის“ ნახევარმცველებსა და თავდამსხვლელებს, და თუ პირველივე წუთებში სტუმართა კარში გოლი არ გავიდა, მხოლოდ და მხოლოდ დაცვის თავგანწირვისა და შემთხვევითობის წყალობით.

მთელი ტაიმის მანძილზე დინამოელებმა ორ-სამჯერ თუ „გაბედეს“ ნამდვილი იერიში. ერთხელ ასათიანის შორიდან ძლიერად დარტყმული ბურთი ა. აბრამიანმა კუთხურზე გადაიყვანა, ხოლო 35-ე წუთზე საჯარიმოდან ჩაწოდების შემდეგ იგი ოდნავ აცდა ერევნელთა კარს. ბოლოს და ბოლოს მოხდა ის, რაც უნდა მოჰყოლოდა ასეთ პასიურ თამაშს — 43-ე წუთზე იშტოიანს უფლება მისცეს თავისუფლად გასულიყო მარკვენა ფრთაზე და ზუსტად ჩაეწოლებინა კარის განსწვრივ და ანდრიასიანმა მშვიდად შეაგორა ბურთი კარში. უკანასკნელ წამებზე დინამოელებს საშუალება მიეცათ გაეთანაბრებინათ ანგარიში, მაგრამ ამაოდ.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მცველებმა უხეში შეცდომა დაუშვეს და იშტოიანმა კარგად გამოიყენა მათი „საჩუქარი“ — 2:0. მხოლოდ მატჩის ბოლო ოც წუთში მოინდომეს დინამოელებმა ყველაფრის გამოსწორება. მაგრამ ვერც მეკარის პირისპირ გასულმა გუტალიამ, ვერც გაკაშელმა ხუთიოდე მეტრიდან ვერ შეცვალეს ანგარიში.

საბოლოოდ ლიდერმა მეორე დამარცხება განიცადა — 0:2.

თბილისელთა რიგებში თამაშობდნენ **გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხუციანავა, პეტრიაშვილი, გაგაშელი, ბაქიძე (კუტავაძე), ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.**

გუშინ მოსკოვში

მოსკოვის გუნდების „დინამოსა“ და „ტორპედოს“ გუშინდელი მატჩით ამოიწურა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურა (კიევის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩი გადადებულია 2 ივლისისათვის). ბრძოლას უკომპრომისო ხასიათი ჰქონდა. შეხვედრა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით — 4:1.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 31 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ).	9	6	1	2	13-5	13
„ზარია“	9	6	1	2	14-8	13
ცსკა	9	5	1	3	12-9	11
„დნეპრი“	9	3	5	1	11-9	11
„დინამო“ (კ.)	8	4	2	2	12-10	10
„ზენიტი“	7	3	3	1	12-8	9
„სპარტაკი“	8	3	2	3	8-8	8
„ლოკომოტ.“	9	2	4	3	6-9	8
„ტორპედო“	9	2	4	3	8-13	8
„არარატი“	8	2	3	3	11-7	7
„ნეფტჩი“	8	3	1	4	7-8	7
„კაირატი“	9	1	5	3	7-9	7
„დინამო“ (მნ.)	9	1	5	3	6-10	7
„დინამო“ (მ.)	7	2	2	3	8-10	6
„კარპატი“	9	2	2	5	7-10	6
სკა	9	2	1	6	6-15	5

მოკლედ

მძლეთსნობა. ვალენტინელმა სტუდენტმა ევროპის ჩემპიონმა კესტუსის შაკაამ წლევანდელი ოლიმპიური სეზონის საუკეთესო შედეგი გაიმეორა სიმაღლეზე ხტომაში — 221 სმ. ხარკოველ სტუდენტთა შეჯიბრებაზე კი სსრ კავშირის ჩემპიონმა ევგენი ტანანიკამ ეროკით ხტომაში უჩვენა 535 სანტიმეტრი.

ბრაზილ. ოთხმა საბჭოთა მოკრივემ საარსწო ადგილი დაიკავეს პოლონეთის ქალაქ შეტინში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში. პერმელმა პავლოვმა (მეორე ქვესაშუალო წონა) ფინალში დაამარცხა პოლონელი სტავსკი, მეორე ადგილი დაიკავა ლევოველმა მძიმე წონის გაჯიევმა, მესამე — ტაშკენტელმა შაბელნიკოვმა (მეორე საშუალო) და დაუგვაპლესლემა ჩიტაღლინმა (ქვემძიმე).

... ადამიანი

დღეს, 31 მაისს ხრულდება გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერლის კონსტანტინე პაუსტოვსკის (1892-1968 წწ.) დაბადების 80 წლისთავი. მწერლის შემოქმედებას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, მისი მოთხრობები და რომანები თარგმნილია ქართულ ენაზე და რამდენჯერმეა გამოცემული. თვით პაუსტოვსკიც ხაუკეთესოდ იცნობდა საქართველოს, მის კულტურას და თავს ჩვენი ხალხის გულითად მეგობრად თვლიდა. ქვემოთ ვბეჭდავთ კ. პაუსტოვსკის ერთ-ერთ მოთხრობას, რომელიც თარგმნა ვალენტინა ძიძიგურმამ.

კონსტანტინე პაუსტოვსკი

ШАРМИ მდინარეზე მძიმე შრიალით მოდიოდა თოში, ყურეში კი, სადღაც გამოსაზამთრებლად მოქუნდულიყვნენ გემები, ბარჟები და მიწის ხაიები, წყალი ნაპირებთან ოდნავ შეეგიფუღლიყო.

მდინარეს ხორგი წლიდან წლამდე თითქმის ერთსადაიმავე დროს ედება ხოლმე: ისევ ის ღრუბლებისაგან დამძიმებული ცა, ისევ ის თალხი ბალახი ნაპირებზე და სუსხიანი ქარი, ლოყებს რომ უტკიცავს კაცს. და, როგორც ყოველთვის, შემოდგომით გამოცარიელებულ ბოსტნებში სადღაც აქა-იქ მაინც ყრია კომბოსტოს მწვანე ფოთლები, რომლებზედაც ტკაცუნი გაუდის ხორხოშელას.

ყურეში მოვიდა გამოსაზამთრებლად ვეება ძველებური მონატორის მსგავსი რკინის მიწისმსრუტავი. მიწისმსრუტავის ბანზე სამანქანო განყოფილების თავზე დაშვებული იყო ფიცრული კიუტა, საიდანაც გამუდმებით ამოდიოდა კვამლი.

ამ კიუტაში მიწისმსრუტავის უფროსი ცხოვრობდა.

ეს იყო მთელ მდინარეზე საბლოთნეული ივანე ტროფიმის ძე გრიშინი.

მიწისმსრუტავზე ივან ტროფიმოვიჩის გარდა ზამთარს ატარებდა მეკანიკოსი ჟენია ჩიჟი, დამცინავი და ერთობ თავის ნებაზე მიშვებული ფმაწვილი კაცი და ორი ქალიშვილი — მატროსები ოლია და პოლია. ლები არ იყვნენ, მაგრამ დებივით ჰგავდნენ ერთმანეთს — ორთავენი ლოყებდაბრაწულები, ნაცრისფერთვალა და ოქროსფერთმიანი.

მოცალეების დროს გაცლა მიყვარდა ხოლმე ივან ტროფიმოვიჩთან.

ივან ტროფიმოვიჩი ისე მხვდებოდა, თითქოს დღეს უკვე გვნახა ერთმანეთი, მაგრამ მაინც ყურადღებით შეათვალიერებდა ჩემი პალტოს ჯიბეებს: ივან ტროფიმოვიჩს ძალზე იტაკვებდა მეცნიერულ-პოპულარული წიგნები და მე ყოველთვის მომქონდა ხოლმე, რის შოვნასაც ქალაქში მოვახერხებდი.

საუბარიც მეცნიერული უყვარდა ივან ტროფიმოვიჩს, უფრო მეტად აღმოჩენებზე, გამოგონებებზე — ვირუსებზე, რადიოლოკაციაზე და ტელევიზორებზე.

მაგრამ ერთხელ, ჩაის სმის დროს, მეცნიერულის ნაცვლად სულ სხვა საუბარი გამოგვივიდა, ნაწილობრივ ფსიქოლოგიურიც კი.

— აი, ხალხი ხშირად ამბობს: „შური“, „შურიო“, — მითხრა ივან ტროფიმოვიჩმა, — მე კი, უნდა გამოგიტყდეთ, ჩემს ცხოვრებაში არასოდეს არავისი შეშურებია, გულში კიდევაც ვამაყობდი ამითი. ყოველთვის მიპაჩნდა, რომ შური არის უკეთური გრძნობა, რომელიც კარგ ადამიანს არ უნდა ახასიათებდეს. რა უნდა შეშურდეს? სხვისი კარგი? მიღწევა? რა სისულელეა! მაგრამ ცხოვრებამ, როგორც ხშირად ხდება, კარგი სილაკი გამაწია. და მხოლოდ ახლა, სიბერის ჟამს მივხვდი, ბოლოს და ბოლოს, რომ შური ხანდახან აუცილებელია და ადამიანისათვის სასარგებლოც კი არის.

—საინტერესოა, რა სილაკი გაგაწნათ ასეთი? — ვკითხე მე.

— მწარე სილაკი! — ზარზეიმით წარმოთქვა ივან ტროფიმოვიჩმა. — მოვედით ყურეში, საგულდაგულოდ მიეგებით ნაპირს და მე, როგორც იტყვიან, შევუდექი ზამთრის თადარიგს. მიყვარს ზამთარი — ეს ერთადერთი დროა, როცა კაცი ბევრს კითხულობს. ხმელეთიდან ჩვენკენ მავთულება გამოჭიმული, მთელი ღამე ხინთლე კაშაშებს. ღუმელიც მშვენიერია. სხვა რაღა სჭირდება ადამიანს! დიახ! შეკუდექით ზამთრის ცხოვრებას, და მოულოდნელად გავიგეთ, რომ ასმეთორმეტე მიწისმსრუტავს, რომელიც ჩვენს ქვემოთ ზამთრობს, ვოლგაზე აგაზანიანო.

კაიუტის კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით! — გასძახა ივან ტროფიმოვიჩმა.

— გამარჯობათ, — თქვა ჟენია ჩიჟმა გარეთვე და მერე გამოჩნდა თავისი ვიწრო ბუნდატები. ისე, როგორც ყოველთვის, უქუდოდ იყო. — კატეგორიულად მოგესალმებით! ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

— პირიქით, სწორედ კარგ დროს მოხვედი, — უპასუხა ივან ტროფიმოვიჩმა, — მაშინ, იმედი მაქვს, მიხვდებით. ამას წინათ გამოვიანგარიშე, — მან მაგიდიდან ციფრებით აჭრელებული ფურცელი აიღო და ჰაერში გაიქნია. —თუმცა ასმეთორმეტე მიწისმსრუტავი გაცილებით ნაკლები სიმძლავრისაა, ვიდრე ჩვენი.

— ის მხოლოდ ერთი შეხედვით არის მძლავრი, — ჩაურთო ჟენია ჩიჟმა.

— აი, სწორედ ერთი შეხედვით, მაშინ ისმის კითხვა, რატომ გაგზავნეს ვოლგაზე ის და არა ჩვენ?

— კეთილსინდისიერი შეცდომაა, — თქვა ჟენიამ.

— რა თქმა უნდა, —ვთქვი მე. — ვოლგაზე ფარვატერის გაღრმავება შეიძლება უფრო საპატიო საქმე იყოს, ვიდრე ჩვენს მდინარეზე...

— საქმე მარტო ფარვატერი არ არის, — რატომღაც გაეცინა ივან ტროფიმოვიჩი. — ფარვატერის გულისთვის თავს არ შევიწუხებდით! ასმეთორმეტე კაშხალის მშენებლობაზე მიდის ჟენია. აი, ეს არის მთავარი, ჩემო ძვირფასო მეგობარო! აი, შეხედეთ!

ივან ტროფიმოვიჩმა ლურჯი ფანქრით დაიწყო ქაღალდზე ხაზვა.

— ეს ვოლგაა. ასე ხომ? ეს კი კაშხალის ასაშენებელი ადგილია კუიბიშევთან. აქ აკეთებენ მიწის მსრუტავებს. მთელ ესკადრას. დაახლოებით ამ ადგილას ნაპირზე, სადაც კაშხალი აიგება, მიწისმსრუტავებიდან, მილებს გაიყვანენ. გასაგებია?

— ჯერჯერობით ყველაფერი გასაგებია.

— მიწისმსრუტავები ამ მილებით ამოქაჩავენ ვოლგის ფსკერიდან წყლიან გრუნტს და, აი, აქ, დაადგოვებენ. ხედავთ? წყალი გრუნტიდან ძალიან მალე ჩამოიწრიტება. დარჩება მშრალი მიწა. აი, ასე ნელნელა წამოიზრდება კაშხალი.

— მერე ვითომ რაო, — ვთქვი მე, — ცნობილი ხერხია.

— თქვენ რა გემართებათ! — მეცა უცებ ივან ტროფიმოვიჩი. — ნუთუ არ გესმით, რომ ეს არის კაშხალი ვოლგაზე და არა რომელიმე კიზიაგაზე. თქვენ შეგიძლიათ ამაზე ფრანდიოზულობის წარმოდგენა!

— შემიძლია.

— ჰოდა, ეგ არის საწყენი და, თქვენ წარმოიდგინეთ, საშურველიც, ძვირფასო ამხანაგო. მსოფლიოში ერთიერთი უდიდესი მშენებლობა იწყება და ჩვენ ვითომც აქ არაფერი, განზე უნდა ვიდგეთ. მაღალ მარკას ვერ ვეწევნებთ. ჩვენს მაგივრად ამას ასმეთორმეტის მარჯვე კაპიტანი ვასილი გონჩარენკო გააკეთებს.

— გაკეთებთ იქნებ კიდევაც გააკეთოს, — ფრთხილად ჩაურთო ჟენიამ. — მაგრამ მარკა ნამდვილი არ იქნება! აბა, ჩვენ ის სად შეგვიტოლდება, — ივან ტროფიმოვიჩ.

— სხვათა შორის, — თქვა ივან ტროფიმოვიჩმა, — ის ჟენიას სულაც არ უდგება ყურს, — მე ყველაფერი მოვიფიქრე. ცოტა რომ შეგაკეთო, ჩვენ ვაიძულებთ ჩვენს ჯავშნისანს უფრო სწრაფად იმუშაოს და თხიერი გრუნტის უფრო მძლავრი ნაკადი მოგვეცეს, ვიდრე ახლა. მას სიმძლავრის მარაგი აქვს. სწორედ ეს მოვასსენე ადგილობრივ ინჟინრებს. ისინი კი ბაიბურშიც არ არიან.

— ყველა ხომ ვოლგაზე ვერ იმუშავებს, — ვთქვი მე ივან ტროფიმოვიჩის და ჟენიას დასამშვიდებლად, —ვინმე ხომ აქაც უნდა დარჩეს.— ჟენიამ კი ტოლჩაში კვლავ დაისხა ჩაი და არავისთვის მიუმართავს, ისე წალეკავდა:

— ჩვენ, ივან ტროფიმოვიჩ, ალბათ, ქალაქნების ამოსხმის მეტი არაფერი ვიცით.

— ასე გამოდის, — წყნარად დაეთანხმა ივან ტროფიმოვიჩი, მაგრამ უცებ წამოჭარხლდა, მაგიდას მუშტი დაკარა და დაიყვირა: — ოცდახუთი წელია დავცურავ! ესეც შენი დაფასება და მადლობა! გონჩარენკოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ბედი მოუვიდა კაცს. ვოლგაზე სამუშაოდ გაგზავნეს! შემიძლია მივეულოცო მხოლოდ. მაგრამ გონჩარენკოს ხომ არც კი უოცნია ამაზე.

— თქვენ კი ოცნებობდით განა? — გკითხე მე: — ჟეყოფათ, ივან ტროფიმოვიჩ! მთავრობის დადგენილება კუიბიშევის ჰიდროსადგურისა და კაშხალის მშენებლობის შესახებ სულ ახლახან გამოქვეყნდა. როგორ შეგეძლოთ გეოცნებათ ამაზე, როცა სამოდე თვის წინ გუმანითაც არაფერი იცოდით?

— ეს რაები მესმის! — გულჯავრიანად ჩაილაპარაკა ივან ტროფიმოვიჩმა, — თანაც კაცმა რომ გკითხოთ, რადაციების წერთ, ხალხს ასაწავლით ვითომ. ბავშვობიდან ვოცნებობდი ივან ტროფიმოვიჩს, ცდილობდნენ გამოეცნოთ, როგორი ამბავი ჩამოიტანა.

მაგრამ ივან ტროფიმოვიჩმა ნაპირდანვე დაიძახა:

— საბუქსირო გვარლები მოამზადეთ! ისარაც შეამოწმეთ!

ქალიშვილებმა ერთი კი შესძახეს სიხარულით და მიწისმსრუტავის წინარიდოზე გაცვივდნენ. ივან ტროფიმოვიჩი და ჟენია საბიჯელაზე შეჩერდნენ და ნელნელა და საფუძვლიანად შეუდგნენ მის დათვალიერებას, თითქოს პირველად ხედავდნენ ამ რკინის ნაგებობას.

— რასა ჰგავს! — ჩაილაპარაკა ივან ტროფიმოვიჩმა. — შეღებვაც კი ვერ მოვასწარით. ვოლგაზე მოგვიწევს.

— როგორაა საქმე? — გაჯახე ივან ტროფიმოვიჩს და თვითონვე გამაკვირვა ჩემმა ხმამ: უცებ ჩამიწყდა და რაღაც შიშიც ახლდა.

— ბრძანეთაა! — ამომძახა მან. — ვოლგაზე მივდივართ. ასმეთორმეტის მაგივრად.

— მომილოცავს! — ახლა უფრო მტკიცე ხმით დავუყვირე მე, — მდინარე როგორია?

— თოშმა ჩაიარა, ყინული კი ჯერ არ არის, — მიპასუხა ივან ტროფიმოვიჩმა. — ადამიანი ვერ ერევნებოთ განა? მოვასწრებთ გასვლას. ბუქსირი ორ საათში მოვა.

— „ადამიანი კი არა!“ — გავიფიქრე მე, მაგრამ მაშინვე შევამჩნიე, რომ თოვლისაგან აღარაფერი დარჩენილიყო სველი გემბანების, სახურავების და გზების მეტი.

ივან ტროფიმოვიჩი და ჟენია გემბანზე ამოვიდნენ.

— ეს რა მომივიდა! — თქვა ივან ტროფიმოვიჩმა, — პირფაპირ მრცხვენია. ხალხს თვალი როგორ გავუსწორო.

— რა მოხდა ასეთი?

— გონჩარენკოზე ვამბობ. მე მოსკოვში წერილი კი გავუზავნე, მაგრამ ეს ბრძანება ჩემი წერილის პასუხი არ გახლავთ. თურმე გონჩარენკოს ჩემზე ადრე გაუგზავნია სამინისტროში წერილი. მიუწერია, რომ ჩემი მიწისმსრუტავი იმისაზე თითქმის ორჯერ მეტი სიმძლავრისაა და ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია სამოცდამეხუთე გაგზავნოთო ვოლგაზე! მე კი, თუ შეიძლება, იქ უფროსის თანაშემწედ დამნიშნოთო. ახლა ერთი დარდი დამრჩა. რადაც უნდა დამიჯდეს, გონჩარენკო ჩემთან გადმოვაყვანინო.

ამის მერე რა მოხდა მიწისმსრუტავზე ალარ ვიცი, რადგან, როგორც იტყვიან, სასწრაფოდ მომიხდა ქალაქში „გაქცევა“ ივან ტროფიმოვიჩისათვის წიგნებისა და პაპიროსის მოსატანად.

უკან რომ დავბრუნდი ბუქსირი „რესპუბლიკელი“ უკვე ფოლადის გვარლებს აბამდა მიწისმსრუტავს და თან მძიმედ ისვროდა კვამლის ბოლქვებს.

ერთი საათის შემდეგ რკინის ვეებერთელა მიწისმსრუტავი მდინარის ნისლს შეერია და მხოლოდ ისარას შუქიღა ციმციმებდა დიდხანს, თითქოს მე მემშვიდობებოდა. იმ ადგილას კი, სადაც მიწისმსრუტავი იდგა, დამსხვრეული თხელი ყინული ირხეოდა და რაწკუნობდა წყალში, ხოლო ნაპირზე, გაყინულს სასწაულად გადარჩენილი ასფურცელას მაღალი ბუჩქი იდგა. მის ყვითელ ყვავილსაც და მდინარის უბესაც კვლავ ფრთხილად ათოვდა.

თარგმნა

ვალენტინა ძიძიგურმა.

... ეროვნული

... ...

ДЕСЕ ЧВЕНИ ХВЕУНИС ДЕДАКАКАКШИ

ვან კლიბერნი მოსკოვში

„ჩემთვის თბილისი ყველაზე ტკბილი სიზმარია“... ასე გვითხრა კონცერტის შემდეგ დღლიმა ვან კლიბერნმა... ირგვლივ ალტაცებისაგან ბობოქრობდა მოსკოვის კონსერვატორიის დიდი დარბაზი... იყო უამრავი ყვავილები, ოვაციები და გაუთავებელი ტაშისცემა...

სცენაზე იდგა ძალიან მაღალი და გამხდარი ამერიკელი პიანისტი, იდგა ჩვენთვის, ყველასათვის ასეთი მახლობელი, სახარულის ცრემლს ვერ იკავებდა...

ვან კლიბერნის სახელთან მუსიკის მოყვარულებს ჩაიკოვსკის სახელობის პირველი საერთაშორისო კონკურსის დაუვიწყარი დღეების სითბო აკავშირებს. სწორედ მაშინ, 1958 წლის დღეებში, ჭაბუკმა შორეული ტეხასიდან ნამდვილი ამბოხება მოახდინა კონსერვატორიის დიდ დარბაზში და თავისი უშუალობით, განუმეორებელი ღიმილით და ეუფლარებელი ტალანტით დაიპყრო საბჭოთა მუსიკის მოყვარულების გული...

მერე დაიწყო ვან კლიბერნის ტრიუმფალური მოგზაურობა საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში..

— ჩემთვის თბილისი ტკბილი სიზმარია, — ეკუნებს პიანისტი... — მომხიბლა თქვენმა განუმეორებელმა თბილისურმა სალამოებმა, მე დამათრო ქართველების სითბომ და ხიყვარულმა... სწორედ ამიტომ ყველაზე მეტ ხანს შემოვრჩი თქვენს ქალაქს... რა დამავიწყებს კრწანისს, იქაურ შეხვედრებს და შთაბეჭდილებებს, რა დამავიწყებს ქართული ჩოხას და ვერცხლის ქამარ-ხანჯალს, ის მთელი ჩვენი ოჯახის წმიდა რელიკვიაა...

მერე ღიმილით დაუმატა: არ გიგიკვირდეთ, ტახსაში რომ ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ვაქაცი დაინახოთ — ეს მე ვიქნებიო...

ვაჩვენებთ საკავშირო კომპოზიტორთა სახლის ფოტო არქივში ნამოენ უნიკალურ ფოტო სურათს: თბილისის ფილარმონიის დარბაზში გამართული კონცერტის შემდეგ ვან კლიბერნს მუხლებზე ცეროდენა გოგონა უზის — ჩვენი ლიანა ისაკაძე...

ბავშვივით უხარია ვანს... დიდხანს დაპყურებს ფოტოსურათს... ღიმილით ამბობს: — თითქმის 15 წელიწადი გავიდა ამ დღიდან, ახლა ლიანა მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსია... სიამოვნებით მოვაწერ ხელს ამ ფოტოს, იმ შორეული დღეების მოსაგონებლად...

ისევ თბილისი გაგვახსენდა: ფილარმონიის შენობა, ზღვა ხალხი და სცენაზე ვან კლიბერნი... ნელა მიუჯდა როიალს, და დარბაზში რევაზ ლაღიძის „თბილისოს“ ჯადოსნური მელოდია დაიღვარა...

„თქვენი ქალაქი ანდამატივით მიზიდავს. ვწუხვარ, რომ წელს არაფრით არ მოხერხდება ჩამოსვლა. მოსკოვის შემდეგ ლენინგრადი, იქიდან კი იაპონიაში მივფრინავ“...

ამ დღეებში ვან კლიბერნი კონცერტებს მართავს მოსკოვში. როგორც მშობლიურ სახლში, ისე დაბრუნდა ამერიკელი პიანისტი ამდენი ხნის განშორების შემდეგ... აქ, მოსკოვში, ეზიარა იგი გამარჯვებით გამოწვეულ პირველ დიდ სიხარულს, აქედან დაიწყო მისი მოგზაურობა მსოფლიოს ქვეყნებში...

ამჟერად მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ვან კლიბერნმა შეასრულა ბეთჰოვენის, შოპენის, ბრამსის, დებიუსის ნაწარმოებები.

ამაღლებული და ღრმაა ბრამსის მუსიკა, განსაკუთრებით რაფსოდია სოლ-მინორი. კონცერტის ნამდვილი გვირგვინი დებიუსის მუსიკალური პიესები იყო.

სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ძალიან ხშირად თავის გამოსვლას პიანისტი შუმან-ლისტის „მიძღვნით“ ამთავრებს. ამ მუსიკალურ შედევრში თავმოყრილია სიყვარული უბრალოების, ალტაცება, სევდა და სიყვარულით გამოწვეული სიხარული — ყველაფერი ის, რაც ასე ახასიათებს და რითაც ასე მდიდარია ვან კლიბერნი...

დ. მაჭავარიანი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მოსკოვი.

• • •

სურათზე: 1958 წელს გადაღებული ფოტო — ვან კლიბერნი და ლიანა ისაკაძე — ახალი ავტოგრაფით.



«სკოლა და ცხოვრება» № 5

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ **„სკოლა და ცხოვრების“** მორიგი მეხუთე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ნ. ლაღიძის წერილით — **„პიონერული ორგანიზაციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე“.** აქვე დაბეჭდილია მ. სიმონიას და ნ. ფანოზიშვილის სტატია: **„საქართველოს პიონერები დიდ სამამულო ომში“.**

ახალ ნომერში გამოქვეყნებულია აგრეთვე მასალები, რომლებიც ძირითადად მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საკითხებს აშუქებენ.

ტელევიზია

31 მაისი

პირველი პროგრამით

11.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“, 17.00 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა, როგორ მოვემზადოთ წერითი გამოცდისათვის (მე-10 კლასელებისათვის), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — — ბავშვებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ეოცონი“, 19.50 — კინონარკვევი, 19.00 — განცხადებები, 19.05 — „სკკპ XXIV ყრილობის გადწყვეტილებები — მოქმედებამი“ — „სოფელი ქალაქურ ყაიდაზე“, 19.30 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 19.50 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — „პაუსტოვსკი“, 21.35 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ღამილის საათი“.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (ლაბორატორიული სამუშაოების დემონსტრაცია. რუსული სკოლების მეათეკლასელთათვის), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (ამოცანების ამოხსნა. მეათეკლასელთა თვის), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 20.40 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში. 21.25 — „კინოაფიშა“.

1 ივნისი

პირველი პროგრამით

11.05 — მხატვრული ფილმი „ავანძის გახსნა“, 12.30 — „ოკეანის ინფუსტრია“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — გადაცემა ხანძარსაწინააღმდეგო თემაზე, 18.10 — ახალი ამბები, 18.15 — განცხადებები, 18.20 — გადაცემა „მზეს უმღერიან პატარები“, 19.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „პირველი ყვირილის შემდეგ“, 19.35 — „სსრკ-50“ ციკლიდან „თავიანსუფალ ერთა ძმურ ოჯახში“, 20.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „ჩვენი სტუმრები“, 20.45 — კინონარკვევი „ფრთის ქვეშ მუდამ ზღვაა“, 21.00 — „მუსიკის სამყაროში“ სატელევიზიო მიმოხილვა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ბედნიერი კაცი“.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (როგორ ვემზადოთ გამოცდებისათვის), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ხატვა (შემჯამებელი გაკვეთილი. მეოთხე, მეხუთე, მეექვსეკლასელთათვის), 19.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 20.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 21.20 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“.

თეატრები

31 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გორდა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კოლმეურნის ქორწილება; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ურიელ აკოსტა; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი.

... ...

დღეს, 31 მაისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ზოგან ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 22-27, მთაში 15-17 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი უმეტესად დასავლეთ რაიონებში, მტკვრის ხეობაში იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის ქარი, ტემპერატურა ბარში 23-28, მთაში 12-17 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, იქროლებს წამში 5-10 მეტრი სიძლიერის ქარი, ტემპერატურა 26-28 გრადუსი სითბო.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ